

CONCEPT OF THE ACQUIS COMMUNAUTAIRE AND ITS IMPORTANCE IN LAW OF THE EUROPEAN UNION

Irakli Papava

*Master of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, International Law Expert,
Regional representative of the “Information Center on NATO and EU” in the Guria region*

Email: iraklipapav@gmail.com

ABSTRACT

This article concerns one of the key concepts of the law of the European Union (EU) – *acquis communautaire*, which plays an important role in ensuring the unity of the EU legal order. It reflects all the legal and political achievements of the EU in the entire history of its existence. The article discusses the issues of the origin, formation and importance of the concept of *acquis communautaire* in the development and enlargement of the European Union, shows the dynamic nature of the evolution of its scope and content depending on the objectives of EU policy, emphasizes its outstanding role as an instrument of EU internal and external policy. It should be said, that in the science and practice of EU law, yet there has not been formed an unified approach to understanding the scope and content of this concept. The author comes to the conclusion that the *acquis communautaire* is not so much a legal category as a concept of a complex nature, which includes EU primary and secondary law, as well as “non-normative” sources and is constantly evolving. At the same time, the universal nature of the *acquis communautaire* makes it necessary to specify the content of each of its elements in each specific case of using this concept. Accordingly, in the domestic field of application of the *acquis communautaire* by the institutions of the European Union, the main goal is to develop the EU based on its political, legal, economic and cultural heritage. In the external field of application, the goal is to “export” the values and principles of the European Union beyond its borders, to properly prepare the candidate countries to join the EU and to introduce and adapt its own advanced achievements in economic, political and legal cooperation with third countries. The author expresses the opinion that the content and scope of the *acquis communautaire* changes in accordance with the objectives of its application.

KEYWORDS: European integration, EU politics, enhanced cooperation, international agreements

შესავალი

მე-20 საუკუნის ბოლოს ევროპულ სამართლებრივ ლექსიკონში გაჩნდა სრულიად ახალი კატეგორია, რომელიც მანამდე არსად ფიგურირებდა, – *acquis communautaire*. ასე ერქვა ევროპარლამენტის მიერ 1984 წელს მიღებული ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების პროექტის¹ (ცნობილია „სპინელის პროექტის“ სახელით) მე-7 მუხლს. ფრანგულ ვერსიაში ეს ტერმინი სიტყვასიტყვით ნიშნავდა „გაერთიანების მიღწევას“, „იმას, რაც გაერთიანების ფარგლებშია მიღწეული“.

ნიშანდობლივია, რომ *acquis communautaire*-ის ცნების წევრი ქვეყნების სხვა ენებზე ზუსტი და ერთგვაროვანი თარგმნის მცდელობა ყოველთვის სირთულეებს იწვევდა, ევროპის კავშირის (შემდეგში – „EU“, „კავშირი“, „ევროკავშირი“) სახელმწიფოებს შორის კომუნიკაციის ერთიანი ოფიციალური ენის არარსებობის გამო. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მისმა სხვა ენებზე თარგმნის მცდელობებმა სხვადასხვა, ხშირად არაიდენტური მნიშვნელობის ფორმულირებები წარმოშვა: „გაერთიანების მემკვიდრეობა“

– ინგლისურ ვერსიაში,² „წესების ერთობლიობა“ – ფინურ ვარიანტში, „გაერთიანების მოქმედი სამართალი“ – დანიურ ენაზე, „ნორმატიული მემკვიდრეობა“ – შვედურ რედაქციაში, „ნორმების აკუმულაცია“ – ესპანურსა და პორტუგალიურში, „გაერთიანების საკუთრება“ – ბერძნულ და გერმანულენოვან ვერსიებში.³ *Acquis communautaire*-ის ცნების მნიშვნელობათა ასეთმა კალეიდოსკოპმა და მისი თარგმანის ერთიანი ვარიანტის არარსებობამ დროთა განმავლობაში ფრანგულ ენაზე მისი უნივერსალური გამოყენება განაპირობა: ოფიციალურ დოკუმენტებსა და თეორიულ ნაშრომებში ის, როგორც წესი, არ ითარგმნება და, ჩვეულებრივ, ფრანგული ტრანსკრიპციით გამოიყენება.

Acquis communautaire-ის კონცეფციას EU-ს სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია. თეორიაში იგი მიიჩნევა ევროკავშირის მართლწესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კონცეფციად, გამორჩეულ დოქტრინად, EU-ს მმართველობის არსად,⁴ მისი გაფართოების შეუცვლელ პირობად.⁵ „*Acquis communautaire*, არსებითად, გადმოსცემს იდეას, რომ ევროპის გაერთიანების (კავშირის) ინსტიტუციური

1 Projet de traite instituant l'Union Europeenne. Bulletin des Communautés européennes 2, Fevrier 1984, გვ. 8-26.

2 იმავე „სპინელის პროექტის“ ინგლისურენოვან რედაქციაში მე-7 მუხლს „გაერთიანების მემკვიდრეობა“ („Community patrimony“) ერქვა და ადგენდა, რომ „კავშირი საკუთარ თავზე იღებს გაერთიანების მემკვიდრეობას“ (ინგლ.: „The Union shall take over the Community patrimony“).

3 *Acquis communautaire*-ის EU-ს წევრი ქვეყნების ენებზე თარგმანის სხვადასხვა ვარიანტების დეტალური ანალიზი იხ. Gialdino, C., 1995. Some Reflection on the *acquis communautaire*. *Common Market Law Review*, 32, გვ. 1089-1121. აქვე საგულისხმოა, რომ ევროპის კავშირის შესახებ მასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულების (სადაც აღნიშნულმა ტერმინმა პირველად შეიძინა ნორმატიული სტატუსი) ინგლისურ, ირლანდიურ, იტალიურ და ნიდერლანდურ ვერსიებში ტერმინი „*acquis communautaire*“ ფრანგულენოვანი ორიგინალი ვარიანტითაა წარმოდგენილი, ხოლო უშუალოდ ტერმინის თარგმანები მოცემულია დანიურ (gældende Fællesskabsret), ფინურ (yhteisön säännöstöä), ბერძნულ (κοινοτικό κερτῆμενο), პორტუგალიურ (acervo comunitário), ესპანურ (acervo comunitario), შვედურ (gemenskapens regelverk) და გერმანულ (gemeinschaftlicher Besitzstand) რედაქციებში.

4 შეადარე. Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. *European Integration Online Papers*, 3 (5), გვ. 3.

5 იქვე. გვ. 9.

სტრუქტურა, ფარგლები, პოლიტიკა და წესები განხილულ უნდა იქნეს როგორც „მოცემულობა“ და არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ან არსობრივად შეიცვალოს ახალი სახელმწიფოების მიერ მათი გაწევრებისას“.⁶

ფაქტობრივად, *acquis communautaire*-ის კონცეფცია შემუშავებულ იქნა EU-ს პირველი ექვსი წევრის მიერ კავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს მისი პოლიტიკური და სამართლებრივი წესრიგის უნიკალურ მიღწევებს,⁷ რაც ევროკავშირში იქნა დაგროვილი და სავალდებულო შენარჩუნებას ექვემდებარება მისი საქმიანობისა და შემდგომი განვითარების პროცესში.

სწორედ *acquis communautaire*-ის კონცეფციისა და მასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების შესწავლა და დეტალური ანალიზი შეადგენს წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს. ამასთან, ევროპის კავშირის მართლწესრიგისთვის ამ კონცეფციის უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის წარმოჩენის მიზნით, სტატიაში განხილულია მისი წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და გამოყენების საკითხები EU-ს განვითარებისა და გაფართოების კონტექსტში, ნაჩვენებია მისი მოცულობისა და შინაარსის ევოლუციის დინამიური ბუნება კავშირის პოლიტიკის მიზნების შესაბამისად, ხაზგასმულია მისი, როგორც ევროკავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის, გამორჩეული როლი, მოცემულია EU-ს სამართლებრივ სისტემაზე ამ კონცეფციის ყველაზე აქტიური ზეგავლენის შემთხვევათა სისტემატიზაცია და შემოთავაზებულია *acquis communautaire*-ის ცნების ავტორისეული განმარტება.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში *acquis communautaire*, როგორც კონცეფცია და როგორც ფენომენი, თითქმის არაა სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული; მეტიც, მის შესახებ ქართულ ენაზე არანაირი სპეციალური კვლევა თუ ნაშრომი არაა ხელმისაწვდომი. სწორედ ამ „ხარვეზის“ გამოსწორების ერთგვარი მოკრძალებული მცდელობაა წინამდებარე სტატია, რომელიც მოწოდებულია, საფუძველი ჩაუყაროს თემის გარშემო დისკუსიის გახსნასა და მის აქტიურ განხილვას ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

1. „ACQUIS COMMUNAUTAIRE“-ის ცნების წარმოშობის ისტორია

Acquis communautaire-ის ცნების წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული ევროკავშირის გაფართოების პროცესთან. მკვლევართა უმეტესობა მის გაჩენას 1960-იან წლებს მიაწერს და მას ევროპის გაერთიანებებში (რომლებიც იმჟამად 6 ქვეყანას აერთიანებდა) გაწევრების თაობაზე დიდ ბრიტანეთთან, ირლანდიასთან, ნორვეგიასა და დანიასთან მოლაპარაკებების დაწყებას უკავშირებს. ევროპის გაერთიანებაში ახალი წევრების მიღების პირობების შესათანხმებლად ჰააგაში გამართულ სამიტზე წევრი ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა განაცხადეს, რომ მოლაპარაკებები შეიძლება დაიწყოს „*მხოლოდ იმ პირობით, თუ ახალგაასაწევრებელი ქვეყნები ხელშეკრულებების დებულებებსა და პოლი-*

6 Goebel, R.J., 1995. The European Union grows: The constitutional impact of the accession of Austria, Finland and Sweden. *Fordham International Law Journal*, 18, გვ. 1095.

7 შეადარე. Magen, A., 2007. Transformative Engagement through Law: The *Acquis Communautaire* as an Instrument of EU External Influence. *European Journal of Law Reform*, 9, გვ. 376.

ტიკურ მიზნებს მიიღებენ“.⁸ მკვლევართა აზრით, სწორედ ასე ჩამოყალიბდა *acquis communautaire*-ის პრინციპი პირველი და ყველა შემდგომი გაფართოებისთვის.⁹ ფუძემდებელი ხელშეკრულებების დებულებების გარდა, წევრობის კანდიდატმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გაერთიანების შიდა აქტები და საერთაშორისო შეთანხმებები მესამე ქვეყნებთან, აგრეთვე გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებათა პერიოდში ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ამრიგად, EU-ს დამფუძნებლები ახალი წევრების მიღებისა და ადაპტაციის პრობლემის გადაწყვეტას ხედავდნენ არა არსებული წესების შეცვლაში, არამედ გარდამავალ ღონისძიებათა შეთანხმებაში (მოქმედების ფიქსირებული ვადით). ახალ წევრთა მიღების შესახებ მოლაპარაკებები 19 თვეს გაგრძელდა და მათი შედეგი სრულად ასახავდა *acquis communautaire*-ის არჩეულ პრინციპს. მრავალი გარდამავალი ღონისძიების დადგენის მიუხედავად (რომელთა მოქმედების საშუალო ვადა 5 წელს არ აღემატებოდა), ისინი არ ცვლიდნენ გაერთიანების არსებულ ნორმებს.¹⁰

რამდენიმე წლის შემდეგ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ აღიარა არსებობა წესებისა, რომლებიც მოიცავენ ყველაფერს, რასაც „გაერთიანებამ მიღწია ბაზრის ერთიანობისთვის“.¹¹ ამას მოჰ-

ყვა 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტი, რომლის პირველი მუხლის მე-3 აბზაცში ნახსენებია „პროცედურები, რომლებიც შეთანხმებულ იქნა ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მეთაურების ლუქსემბურგის (1970), კოპენჰაგენის (1973), ლონდონის (1981) სამიტებზე, „ევროპის კავშირის შესახებ საზეიმო დეკლარაციაში“ (1983) და პრაქტიკები, რომლებიც თანმიმდევრულად იქმნებოდა წევრ ქვეყნებს შორის“.¹² ევროპის კავშირის შესახებ მასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებაში კი ტერმინმა „*acquis communautaire*“ პირველად შეიძინა ნორმატიული, ანუ „კონსტიტუციური“ სტატუსი.¹³ მაგალითად, მასტრიხტის ხელშეკრულების ორიგინალი რედაქციის „B“ მუხლის მე-5 აბზაცი და „C“ მუხლი ითვალისწინებს *acquis communautaire*-ის დაცვას, როგორც EU-ს ერთ-ერთ მთავარ მიზანს. კერძოდ, B მუხლის მე-5 აბზაცის თანახმად, კავშირი თავის ერთ-ერთ ამოცანად ისახავს „...სრულად შეინარჩუნოს *acquis communautaire* და განავითაროს იგი, რათა, N(2) მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად, შესწავლილ იქნეს საკითხი, თუ რამდენად შეიძლება საჭიროებდეს გადასინჯვას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პოლიტიკის სფეროები და თანამშრომლობის ფორმები, გაერთიანების მექანიზმებისა და

8 Final Communique of the Conference of Heads of Government or State on 1–2 December 1969 at the Hague. Third General Report on the activities of the Community. European Yearbook, Volume 17. The Hague, 1969. გვ. 489.

9 შეადარე. Goebel, R.J., 1995. The European Union grows: The constitutional impact of the accession of Austria, Finland and Sweden. Fordham International Law Journal, 18, გვ. 1142.

10 Commission of the European Communities, Fifth General Report on the activities of the Community. 1971. European Yearbook, Volume 19. The Hague, 1971. გვ. 355–508.

11 შეადარე. Judgement of the European Court of Justice, Commissionnaires Reunis v. Ramel, 20/04/1978, Joined Cases 80 and 81/77.

12 ერთიანი ევროპული აქტის ოფიციალური სრული ტექსტის სანახავად იხ. Official Journal of the European Communities, L 169, 29 June 1987.

13 შეადარე. Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. European Integration Online Papers, 3 (5), გვ. 12.

ინსტიტუტების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით“.¹⁴

მაასტრიხტის ხელშეკრულების მეორე საკვანძო C(1) მუხლში კი საუბარია *acquis communautaire*-ის, როგორც EU-ს მთლიანი ინსტიტუციური სისტემის საფუძვლის, მნიშვნელობაზე: „კავშირს გააჩნია ერთიანი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მისი მიზნების მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებების თანმიმდევრულობასა და უწყვეტობას, *acquis communautaire*-ის დაცვითა და მისი შემდგომი განვითარებით“.

ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულების შედეგად, ტერმინი „*acquis communautaire*“ გამოჩნდა ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების ტექსტში „უფრო მჭიდრო თანამშრომლობის“ პროცედურის შემოღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, K.15 მუხლის პირველი პუნქტის (e) ქვეპუნქტი ადგენს, რომ წევრ ქვეყნებს, რომლებსაც განზრახული აქვთ ურთიერთმორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება, შეუძლიათ გამოიყენონ ამ ხელშეკრულებითა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსტიტუტები, პროცედურები და მექანიზმები, ოღონდ იმ პირობით, რომ ასეთი თანამშრომლობა „არ უნდა ხელყოფდეს *acquis communautaire*-ს და ხსენებული

ხელშეკრულებების სხვა დებულებების შესაბამისად მიღებულ ღონისძიებებს“.¹⁵ აქვე საუბარია იმაზე, რომ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ამსტერდამის ხელშეკრულების მუხლები არ უნდა იქნეს გამოყენებული ევროკავშირის სტრუქტურაში „შენგენის *acquis*“ – ის ინტეგრაციის შესახებ ოქმის დებულებების საზიანოდ.¹⁶ ეს ოქმი ამსტერდამის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და იგი შეიცავს დანართს, რომელიც აკონკრეტებს ტერმინის „Schengen *acquis*“ შინაარსს.¹⁷

ნიცის 2002 წლის ხელშეკრულება, რომელმაც ტერმინი „უფრო მჭიდრო თანამშრომლობა“ „გაძლიერებული თანამშრომლობით“ ჩაანაცვლა და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, ადგენს, რომ ასეთი თანამშრომლობა „კატივს უნდა სცემდეს *acquis communautaire*-ს“, ხოლო სახელმწიფოების მიერ გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურის ფარგლებში მიღებული აქტები და გადაწყვეტილებები არ უნდა იყოს „კავშირის *acquis*“-ის ნაწილი.¹⁸ ამან საფუძველი მისცა ზოგიერთ ავტორს, რომ წამოეჭრა საკითხი შინაარსით განსხვავებული „*acquis communautaire*“-ისა (ანუ გაერთიანების *acquis*-ის) და „კავშირის *acquis*“-ის თანაარსებობის შესახებ.¹⁹

EU-ს 2004 წლის კონსტიტუციური ხელშეკრულების პროექტში იყო მცდელობა,

14 მაასტრიხტის ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ, 1992 წლის 7 თებერვლის რედაქციით. – Official Journal of the European Communities, C. 191, 29 July 1992.

15 შეადარე. Official Journal of the European Communities, C 340, 10 November 1997.

16 შეადარე. მუხლი K.12, პუნქტი 5, ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ (ამსტერდამის ხელშეკრულების რედაქციით).

17 აღნიშნული ტერმინის ქვეშ იგულისხმება შენგენის 1985 წლის 14 ივნისის შეთანხმება და შენგენის 1990 წლის 19 ივნისის კონვენცია, მათთან შეერთების ოქმები და შეთანხმებები, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დეკლარაციები, ასევე აღმასრულებელი კომიტეტის მიერ უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებულ აქტები (შეადარე. Annex to the Protocol integrating the Schengen *acquis* into the framework of the European Union. Official Journal of the European Communities, C 340/93, 10 November 1997).

18 შეადარე. Official Journal of the European Communities, 2001/C 80/01, 10 March 2001.

19 შეადარე. Delcourt, C., 2001. The *acquis communautaire*: has the concept had its day? Common Market Law Review, 38, გვ. 832.

ნორმატიულ დონეზე მოწესრიგებულიყო *acquis communautaire*-ის ფარგლები და მომხდარიყო მისი ყველა ელემენტის სისტემატიზაცია. კერძოდ, ერთიანი ევროპის კონსტიტუციის პროექტის IV-438 მუხლის („სამართალმემკვიდრეობა და სამართლებრივი უწყვეტობა“) მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი იყო *acquis communautaire*-ის ელემენტები, რომლებიც მოიცავს: ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებს; ამ ხელშეკრულებების საფუძველზე EU-ს ინსტიტუტების, ორგანოებისა და სხვა დაწესებულებების მიერ მიღებულ აქტებს; შეთანხმებებს ინსტიტუტებს შორის; გადაწყვეტილებებსა და შეთანხმებებს მიღებულს წევრი ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლების მიერ საბჭოს სხდომების დროს; წევრი სახელმწიფოების მიერ დადებულ შეთანხმებებს კავშირის ან გაერთიანების ფუნქციონირების საკითხებზე ან კავშირის (გაერთიანების) საქმიანობასთან დაკავშირებით; დეკლარაციებს, მათ შორის სამთავრობოთაშორისო კონფერენციებისას მიღებულ დეკლარაციებს; ევროპული საბჭოს ან ევროკავშირის საბჭოს მიერ, წევრი ქვეყნების საერთო თანხმობის პროცედურის საფუძველზე, მიღებულ რეზოლუციებს და პოზიციებს.²⁰ ფაქტობრივად, ევროპის კონსტიტუციური ხელშეკრულების პროექტში *acquis communautaire*-ის ცნება EU-ს სამართალთან ასოცირდებოდა და გამოიყენებოდა როგორც სამართლებრივი კატეგორია, რომელიც მოიცავს ევროპის კავშირის ინსტიტუტების როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო ხასიათის აქტებს.

ობიექტური პოლიტიკური მიზეზების გამო, ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულება (რომელმაც ძირეული ცვლილებები შეიტანა კავშირის საბაზისო აქტებ-

ში) EU-ს დამფუძნებელი დოკუმენტების ტექსტებში აღარ ითვალისწინებს *acquis communautaire*-ის ელემენტების სისტემატიზაციის მიზანს. ამასთან, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკავშირის მიზნებისა და ამოცანების აღმწერ მუხლებში მითითებები *acquis communautaire*-ზე გაქრა. შესაბამისად, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ EU-ს მიზნებს შორის აღარ ფიგურირებს „*acquis communautaire*-ის სრულად შენარჩუნებისა და მისი განვითარების“ მიზანი. მართალია, ლისაბონის ხელშეკრულება *acquis communautaire*-ს მხოლოდ რამდენიმე ადგილას ახსენებს, თუმცა, ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვან ფორმულირებებს იყენებს. მაგალითად, გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურასთან მიმართებით ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-20 (4) მუხლის ტექსტი (ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე კონსოლიდირებული რედაქციით) შემდეგნაირად გამოიყურება: „*გაძლიერებული თანამშრომლობის ფარგლებში მიღებულ სამართლებრივ აქტებს სავალდებულო ძალა გააჩნია მხოლოდ მასში მონაწილე წევრი ქვეყნებისთვის. ისინი არ განიხილება *acquis*-ის შემადგენელ ნაწილად, რომლებიც გაზიარებულ უნდა იქნეს კავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოების მიერ.*“²¹

გარდა ამისა, ტერმინი „*acquis*“ გამოყენებულია შენგენის *acquis*-ის შესახებ ოქმის ტექსტში, რომელიც ინკორპორირებულია EU-ს სტრუქტურაში. ეს ოქმი ლისაბონის ხელშეკრულების შესაბამისად კონსოლიდირებული ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და შეიცავს მისი ხელმომწერი

20 შეადარე. Treaty establishing a Constitution for Europe. Official Journal of the European Union, C 310, 16 December 2004.

21 Official Journal of the European Union, C 115, 09 May 2008.

ქვეყნების ვალდებულებებს, შეასრულონ და განავითარონ შენგენის შეთანხმებათა ფარგლებში მიღებული ნორმების მთლიანი კრებული. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ ოქმის მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც, „ევროპის კავშირში ახალი წევრი ქვეყნების მიღების შესახებ მოლაპარაკებების მიზნებისთვის შენგენის acquis და ინსტიტუტების მიერ მათ ფარგლებში მიღებული სხვა ღონისძიებები განხილულ უნდა იქნეს როგორც acquis, რომლებიც სრულად უნდა იქნეს გაზიარებული წევრობის კანდიდატი ყველა სახელმწიფოს მიერ“.²²

აქ საგულისხმოა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: პირველი, დამფუძნებელი ხელშეკრულებების დონეზე პირველად იქნა გაცხადებული გასაწევრებელი ქვეყნების ვალდებულება, სრულად „მიიღონ acquis“ (თუმცა კვლავ არაა ახსნილი, რა უნდა იქნეს გაგებული აღნიშნული ცნების ქვეშ); მეორე, აშკარაა acquis-ის რთული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ასევე შენგენის acquis-ს, როგორც საკუთარ განუყოფელ და განსაკუთრებულ ნაწილს; მესამე (და ყველაზე მნიშვნელოვანი), ლისაბონის ხელშეკრულება საუბრობს არა acquis communautaire-ის (როგორც მასტრიხტის და ამსტერდამის ხელშეკრულებები) ან/და „კავშირის acquis“-ის (როგორც, მაგალითად, ნიცის ხელშეკრულება), არამედ უბრალოდ „acquis“-ის შესახებ. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ, EU-ს სამი „საყრდენის“ სტრუქტურის გაუქმებით, acquis-ის კონცეფციამ დასრულებული მთლიანობის სახე მიიღო და სრულად ვრცელდება მთელ ევროპის კავშირზე.

2. „ACQUIS COMMUNAUTAIRE“-ის ცნების შინაარსის ფარგლები

Acquis communautaire-ის ცნების ფარგლები და კონკრეტული შინაარსი, მნიშვნელოვანწილად, ბუნდოვანია, ვინაიდან არ არსებობს მისი, მეტნაკლებად, ჩამოყალიბებული და მისაღები განმარტება, მათ შორის ნორმატიული დეფინიცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი სტრუქტურისა და შინაარსის გამოვლენასა და იდენტიფიცირებაზე მუშაობა, უმეტესად, სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობს. ამასთან, ავტორთა უმრავლესობა acquis-ის სტრუქტურის არაერთგვაროვნობას, მისი შინაარსის იმ კონკრეტულ სიტუაციაზე დამოკიდებულებას უსვამს ხაზს, რომელშიც ეს ტერმინი იქნა გამოყენებული. ამ კუთხით acquis ცვალებადი შინაარსის მქონე ცნებაა, რომელიც განსხვავებულია (ვარიანტებს) კონტექსტიდან და სიტუაციიდან გამომდინარე;²³ იგი დინამურად განვითარებადი კონცეფციაა და ასახავს იმ გარემო პირობებს, რომელშიც ევროკავშირს უწევს ფუნქციონირება. შესაბამისად, რთულია acquis-ის რეალური შინაარსის ზუსტად განსაზღვრა, თავად acquis-ის მუდმივად ცვალებადი ბუნებისა და (ასევე) იმ დოკუმენტების მრავალფეროვნების გამო, რომლებშიც ტერმინი „acquis“ გამოიყენება.

ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ავტორთაგანი, რომელიც შეეცადა, მეტნაკლებად, მკაფიოდ განემარტა acquis communautaire-ის შინაარსი, არის ევროკავშირის სამართლის ცენტრის დამფუძნებელი, ფორდამის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (მანჰეტენი, აშშ) პროფესორი როჯერ გობელი, რომელმაც მასში შემავალი კომპონენტები შემდეგ-

22 Official Journal of the European Union, C 83/292, 30 March 2010.

23 შეადარე. Delcourt, C., 2001. The acquis communautaire: has the concept had its day? Common Market Law Review, 38, გვ. 835.

ნაირად დააჯგუფა: 1) ევროკავშირის ხელშეკრულებები; 2) EU-ს ინსტიტუციური სტრუქტურა; 3) ევროპის კავშირის (გაერთიანების) საკანონმდებლო და სხვა აქტები; 4) ევროკავშირის საერთაშორისო შეთანხმებები; 5) მოლაპარაკებების პროცესში მიღებული EU-ს საკანონმდებლო და სხვა აქტები; 6) „ხელშეკრულებების „პოლიტიკური მიზნების“, გარკვეულწილად, ბუნდოვანი კონცეფცია“; 7) EU-ს სამართლის ფუნდამენტური დოქტრინები (როგორებიცაა: პირდაპირი მოქმედება, კავშირის სამართლის უზენაესობა, ერთგვაროვანი ახსნა-განმარტება).²⁴ ორჰუსის უნივერსიტეტის (დანია) პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი კნუდ ერიკ იორგენსენი აქვე ასახელებს „ადამიანის უფლებათა პატივისცემის დემოკრატიულ პრინციპებს“.²⁵

ევროკავშირი მუდმივად ხაზს უსვამს *acquis*-ის განვითარებად ბუნებას. მის ოფიციალურ ვებგვერდზე შესაძლებელია სრული ინფორმაციის ხილვა *acquis*-ის შესახებ, რომლის თანახმადაც, ამ კატეგორიას მიეკუთვნება:

- ხელშეკრულებების შინაარსი, პრინციპები და პოლიტიკური მიზნები, რომლებზეც დაფუძნებულია ევროკავშირი;
- ამ ხელშეკრულებების გამოყენების

მიზნით, მიღებული ნებისმიერი კანონმდებლობა და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ შემუშავებული პრეცედენტული სამართალი;

- EU-ს მიერ მიღებული დეკლარაციები და რეზოლუციები;
- ღონისძიებები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, ასევე მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროებში;
- ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების საერთაშორისო შეთანხმებები კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებით.²⁶

საგულისხმოა, რომ EU-ს ინსტიტუტები *acquis communautaire*-ის ცნებას, უმეტესწილად, იყენებენ როგორც სამართლებრივ კატეგორიას, ასევე, როგორც ტერმინს „ევროპის კავშირის კანონმდებლობა“ – სინონიმს.²⁷ მსგავსი მიდგომა შეინიშნებოდა ევროკავშირის კონსტიტუციური ხელშეკრულების პროექტშიც, სადაც ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „*acquis communautaire*“ და „ევროკავშირის სამართლებრივი სისტემა“, ხშირად ავსებენ და ანაცვლებენ ერთმანეთს.²⁸

თუმცა ბევრი დასავლეთევროპელი მეცნიერი არ ეთანხმება და საკმაოდ ხდის აღნიშნული ცნების მხოლოდ სამა-

24 შეადარე. Goebel, R.J., 1995. The European Union grows: The constitutional impact of the accession of Austria, Finland and Sweden. *Fordham International Law Journal*, 18, გვ. 1143–1144.

25 შეადარე. Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. *European Integration Online Papers*, 3 (5), გვ. 9.

26 Eur-Lex – the official website of European Union law. Glossary of summaries: *Acquis*. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/acquis.html>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].

27 შეადარე, მაგალითად, Towards the Enlarged Union – Strategy Paper and Report of the European Commission on the progress towards accession by each of the candidate countries. Brussels, 9.10.2002 (COM (2002) 700 final); ასევე Enlargement strategy and main challenges 2008-2009. Communication from the Commission to the Council and the European Parliament. COM (2008) 674 final, 5 November 2008.

28 შეადარე. Article IV-438 (3-4), Treaty establishing a Constitution for Europe. *Official Journal of the European Union*, C 310, 16 December 2004.

რთლებრივ კატეგორიად გამოყენებას. ერთ-ერთი ასეთი მიდგომის თანახმად, *acquis*-ის ცნება სცილდება ევროკავშირის სამართლის ფარგლებს და მოიცავს „ყველა სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც წესრიგდება *EU*-ს დამფუძნებელი ხელშეკრულებებით, მათ შორის მეორადი კანონმდებლობისა და ევროპის კავშირის სასამართლო პრაქტიკის ჩათვლით“.²⁹ სხვა მიდგომის მიხედვით, ტერმინი *acquis communautaire* აღნიშნავს „ცნებას, რომელიც არა მარტო *EU*-ს სამართლებრივი სისტემისთვის არის დამახასიათებელი, არამედ უფრო ფართო კატეგორიისთვის, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება დამატებულ ან გადახედულ იქნეს წევრი ქვეყნების მიერ“.³⁰

ევროკავშირის ოფიციალური მტკიცებით, *acquis communautaire*-ის მოცულობა დაახლოებით 80.000 გვერდია. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს ევროპის კომისიის მაშინდელმა პრეზიდენტმა რომანო პროდიმ გაზეთ „Financial Times“-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ასეთი

მოცულობა მიუღებელია და იგი უნდა შემცირდეს 30-35.000 გვერდამდე, თუმცა არ დაუკონკრეტებია, როგორ ან რა გზით.³¹ ფაქტია, რომ ამ მიმართულებით სიტუაცია არ გაუმჯობესებულა. მეტიც, ევროპული კვლევითი ცენტრის „Open Europe“-ის³² შეფასებით, *acquis*-ის მოცულობა სულაც არაა 80 000 გვერდი. ევროკავშირის სამართლებრივი ბაზის Eur-Lex-ის მიხედვით, 1957 წლიდან დღემდე გამოცემული *EU*-ს ყველა აქტის 26% ისევ ძალაშია. აღნიშნულიდან გამომდინარე, „Open Europe“ *acquis communautaire*-ის მოცულობას 170 000 გვერდად აფასებს, საიდანაც 100 000 გვერდი ბოლო 10 წლის განმავლობაში შეიქმნა. მათი გათვლებით, თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, მალე *acquis*-ის მოცულობამ შეიძლება 351 000 გვერდს მიაღწიოს.³³

ასეა თუ ისე, *acquis communautaire*-ის „80 000-ზე მეტი გვერდი და ამ გვერდების მულტიპლად მზარდი რაოდენობა (რომელიც, ფაქტობრივად, ყველაფერს მოიცავს – კვების პროდუქტების უსაფრთხო-

29 Lasok, K., 2001. Law & Institutions of the European Union. London: Butterworths, გვ. 32. ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი ა. ტოტი (A. Toth) კი *acquis communautaire*-ს განმარტავს როგორც „ევროპის გაერთიანების სამართლებრივ მემკვიდრეობას: წესების, პრინციპების, შეთანხმებების, დეკლარაციების, ხელშეკრულების, პოზიციების, მოსახიზებების, მიზნების და პრაქტიკის სისტემას, რომლებიც ევროკავშირის გაერთიანებასთან დაკავშირებული და აღიახებულ იქნა ევროპის გაერთიანების ინსტიტუტებისა და წევრი ქვეყნების მიერ, მათი იუხიდიური ძალის მიუხედავად“ (Toth, A.G., 1990. Oxford Encyclopedia of European Community Law. Oxford: Clarendon Press, vol. 1, გვ. 9).

30 Mortelmans, K., 1996. Community Law: More than a Functional Area of Law, Less than a Legal System. Legal Issues of European Integration. 1(23), გვ. 27.

31 შეადარე. გაზეთი Financial Times, 2001 წლის 26 ივლისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.ft.com>> [წვდომის თარიღი 23 აპრილი 2024].

32 კვლევითი ცენტრი Open Europe. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.openeurope.org.uk>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].

33 თვალსაჩინოებისთვის Open Europe-ას ასეთი მაგალითი მოჰყავს: თუ ავიღებთ *EU*-ს მთელ სამართლებრივ ბაზას 1957 წლიდან, მაშინ, უხეში გამოთვლებით, ის იქნება დაახლოებით 200 კილომეტრი სიგრძის, 44 მეტრი სიმაღლის და ტონაზე მეტი წონის. ასევე შთამბეჭდავია მოქმედი აქტების პარამეტრებიც: შესაბამისად, 50 კილომეტრზე მეტი, 11 მეტრი და 300 კილოგრამი. – შეადარე. Виноградов, А., 2010. Особенности происхождения и содержание правовой категории «acquis communautaire» в праве Европейского Союза. Интернет-журнал «Вся Европа», 6 (45). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://alleuropa.ru/?p=2518>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].

ბიდან დაწყებული ფინანსურ სექტორში კორპორატიულ მმართველობამდე) მოცულობითი მასშტაბის ნორმათა სამართლებრივი და ინსტიტუციური კრებულია, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აფართოებს თავის სრულ გამოყენებას³⁴.

Acquis communautaire-ის კონცეფციის შინაარსის ზემოაღნიშნული ანალიზი საშუალებას იძლევა, იგი განსაზღვრულ იქნეს როგორც სამართლებრივი და პოლიტიკური კატეგორია, რომელიც ეფუძნება ევროპის კავშირის არსებობის პროცესში დაგროვილი ნორმების, პრინციპებისა და წესების ერთობლიობის ღირებულების გააზრებას, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს EU-ს კონსტიტუციის მთლიანობას. ტერმინის მკაფიო დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, ეს კონცეფცია ევროკავშირის მართლწესრიგის ქვაკუთხედი, რაც დასტურდება არა მარტო ფუძემდებელ სამართლებრივ აქტებში მისი ასახვით, არამედ იმ ფაქტითაც, რომ პრაქტიკაში ყოველ ჯერზე სწორედ მას მიმართავენ, როდესაც დგება საკითხი კავშირის რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ტრანსფორმაციის შესახებ. ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს კატეგორია არც საჭიროებს მკაფიო ფორმულირებებს, მისი არამდგრადი ხასიათის, ევროპის კავშირში მოქმედი დინამიურად ცვალებადი ნორმებისა და პრინციპების ფართო სპექტრის მოცვის აუცილებლობის გამო.³⁵ Acquis communautaire-ის კონცეფციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ფაქტობრივად, მისი დაარსების მომენტიდანვე და, სავარაუდოდ, მომავალშიც განაგრძობს ტრანსფორმაციას EU-ს სამართლის განვითარების კვალდაკვალ.

პრაქტიკაში *acquis communautaire*-ის კონცეფცია ძირითადად გამოიყენება:

- 1) ევროკავშირის შიდა სტრუქტურის შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებლობის კონტექსტში როგორც EU-ში ახალი წევრების მიღებისას, ისე თავად კავშირის შიგნით გაძლიერებული თანამშრომლობის შემთხვევაში;
- 2) EU-ს მესამე სახელმწიფოებთან ურთიერთქმედების კონტექსტში.

3. ACQUIS COMMUNAUTAIRE-ის კონცეფციის გამოყენების შიდა განზომილება

3.1. Acquis Communautaire ევროპის კავშირში ახალი წევრების მიღებისას

ყველაზე უშუალო გავლენას *acquis*-ის კონცეფციაზე ახდენდა და დღემდე ახდენს ევროკავშირის გაფართოება. როგორც აღინიშნა, მისი გაჩენა უკავშირდება ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ქვეყნების სურვილს, შეინარჩუნონ და დაიცვან ინტეგრაციის მიღწეული ღონე. შესაბამისად, EU-ს გაფართოების კონტექსტში, *acquis communautaire*-ის ცნება მოიცავს მთელ რიგ ნორმებს, პოლიტიკურ პრინციპებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელთა სრული და უპირობო მიღება ევროპის კავშირში გაწევრებისას ახალი წევრების პირდაპირი ვალდებულებაა. ასეთ ვითარებაში კავშირის ახალი წევრები შებოჭილნი არიან ევროკავშირის ყველა ფუძემდებელი ხელშეკრულებით, მათი პრინციპებით, აგრეთვე EU-ს დაარსების მომენტიდან შექმნილი მეორადი სამართლის ნორმებით, რომლებიც

34 Magen, A., 2007. Transformative Engagement through Law: The Acquis Communautaire as an Instrument of EU External Influence. *European Journal of Law Reform*, 9, გვ. 388.

35 შეადარე. იქვე. გვ. 372, ასევე Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. *European Integration Online Papers*, 3 (5), გვ. 16.

მათ, ფაქტობრივად, ადრე გაწევრებულ ქვეყნებთან ათანაბრებს. გადახვევები ამ ზოგადი წესიდან დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს პირდაპირაა მითითებული ევროკავშირში შესაბამისი სახელმწიფოების გაწევრების შესახებ აქტებში.³⁶ მაგალითად, ევროპის კავშირში ნორვეგიის, ავსტრიის, ფინეთისა და შვედეთის გაწევრების პირობების შესახებ აქტი შეიცავს მითითებებს, რომ *acquis communautaire*-ის ზოგიერთი დებულებები არ გავრცელდება შესაბამის ქვეყნებზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში.³⁷

Acquis-ის კონცეფციის სწორედ ამგვარ გამოყენებაზე საუბრობს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო *Hurd*-ის საქმეზე მიღებულ თავის ცნობილ გადაწყვეტილებაში: [დიდი ბრიტანეთის] „გაწევრების შესახებ ხელშეკრულების მე-3(3) მუხლი *acquis communautaire*-ს, რომელიც ახალმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გაერთიანებებში მათი გაწევრების ძალით, ავრცელებს ყველა დეკლარაციასა თუ რეზოლუციასზე, ან სხვა პოზიციასზე, [...] რომლებიც ევროპის გაერთიანებებს ეხება და წევრი ქვეყნების საერთო თანხმობითაა მიღებული“.³⁸

რაც შეეხება *acquis communautaire*-ის რიგებში უშუალოდ სასამართლო გადაწყვეტილებების („სასამართლო *acquis*“-ის) ჩართვის საკითხს, მათ რიცხვს სასამართლოს ნებისმიერი კი არა, მხოლოდ ის გადაწყვეტილებები შეიძლება მიეკუთვნოს, რომლებიც EU-ს მართლწესრიგის საფუძვლებს ეხება და რომელთა აღიარებაზე უარის თქმა ევროპის კავშირის კონსტიტუციისთვის ძირის გამოთხრა იქნებოდა.³⁹ ერთმანეთისაგან განასხვავებენ სასამართლო *acquis*-ის ორ ქვესახეს – „მატერიალურს“, რომელიც ევროკავშირის ფუნდამენტურ მახასიათებლებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს აერთიანებს და „სტრუქტურულს“, რომელიც გამოიხატება გადაწყვეტილებებში, სადაც სასამართლო გამოთქვამს თავის აზრს ევროპის კავშირის სოციალური და ეკონომიკური წესრიგის თაობაზე.⁴⁰

ზოგიერთი ავტორი სვამს საკითხს *acquis*-ის სტრუქტურაში სპეციალური „სფეროების“ გამოყოფის შესახებ, რომელთაგან თითოეული EU-ს პოლიტიკის ამა თუ იმ მიმართულებას ეხება (როგორებიცაა, კერძოდ, განათლება, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა და მონეტარული

- 36 შუადარე. Gialdino, C., 1995. Some Reflection on the *acquis communautaire*. Common Market Law Review, #32, გვ. 1091. შედეგად, ევროკავშირში გაწევრების სტრატეგია პირდაპირ ითვალისწინებს ე.წ. „*acquis*-ის კრიტერიუმს“; კანდიდატი ქვეყნის კავშირში გაწევრებამდე სავალდებულოა მის მიერ *acquis communautaire*-ის სრული განხორციელება. მაგალითად, „მოქმედების გეგმა 2000“-ში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ „კანდიდატმა ქვეყნებმა ევროპის კავშირში გაწევრებამდე მაქსიმალურად სიღრმად უნდა განახორციელონ *acquis*.“ (Agenda 2000 – For a stronger and wider Union. Document drawn up on the basis of COM (97) 2000 final, 13 July 1997. Bulletin of the European Union, Supplement 5/97 [European Commission – COM Document], გვ. 44).
- 37 შუადარე. Art. 32, 69, 84, 112. Act concerning the conditions of accession of the Kingdom of Norway, the Republic of Austria, the Republic of Finland and the Kingdom of Sweden and the adjustments to the Treaties on which the European Union is founded. Official Journal of the European Communities, C 241, 29 August 1994.
- 38 Judgement of the European Court of Justice, *Hurd v. Jones*, 15/01/1986, Case 44/84, § 29.
- 39 შუადარე. Gialdino, C., 1995. Some Reflection on the *acquis communautaire*. Common Market Law Review, 32, გვ. 1098.
- 40 Pescatore, P., 1981. Aspects judiciaires de l'*acquis communautaire*. Revue Trimestrielle de Droit Europeen, 1, გვ. 619–621.

რეგულირება, შიდა ბაზარი, კონკურენცია, გარემო და ა.შ.).⁴¹ მაგალითად, ევროკავშირის შემადგენლობაში აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ახალი ქვეყნების გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოების მეტი მოხერხებულობისთვის *acquis communautaire* დაყოფილ იქნა თავებად (31 თავად). მოგვიანებით EU-ს რიგებში თურქეთისა და ხორვატიის მიღების შესაძლებლობის შესახებ მოლაპარაკებებისას, თავების რაოდენობა 35-მდე გაიზარდა;⁴² ამასთან, საგულისხმოა, რომ კავშირში დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების

ინტეგრაციის კონტექსტში, ევროპის კომისიის მიერ 2020 წლის 5 თებერვალს წარდგენილი ე.წ. გაფართოების ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოლაპარაკებათა პროცესისთვის მეტი დინამიურობის მინიჭების მოტივით, *acquis*-ის ეს თავები ექვს თემატურ ბლოკში (კლასტერში) იქნა დაჯგუფებული.⁴³ ფაქტობრივად, კავშირის ყოველი ახალი გაფართოება ზრდის *acquis*-ის მოცულობას და მას სულ უფრო მეტად ფორმალისებულ სახეს აძლევს.

Acquis-ის კონცეფციაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ინსტიტუციურ (ანუ

41 შეადარე. Jorgensen, K.E., 1999. The social construction of the *acquis communautaire*: a cornerstone of the European edifice. *European Integration Online Papers*, 3 (5), გვ. 11.

42 თავი 1: საქონლის თავისუფალი გადაადგილება; თავი 2: მუშახელის გადაადგილების თავისუფლება; თავი 3: მომსახურების შექმნისა და მისი მიწოდების თავისუფლების უფლება; თავი 4: კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა; თავი 5: სახელმწიფო შესყიდვები; თავი 6: კორპორაციული სამართალი; თავი 7: ინტელექტუალური საკუთრების სამართალი; თავი 8: ანტიმონოპოლიური პოლიტიკა; თავი 9: ფინანსური მომსახურება; თავი 10: საინფორმაციო საზოგადოება და მედია; თავი 11: სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; თავი 12: სურსათის უვნებლობა, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა; თავი 13: მეთევზეობა; თავი 14: სატრანსპორტო პოლიტიკა; თავი 15: ენერგეტიკა; თავი 16: დაბეგვრა; თავი 17: ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა; თავი 18: სტატისტიკა; თავი 19: სოციალური პოლიტიკა და დასაქმება; თავი 20: მენარმეობა და სამრეწველო პოლიტიკა; თავი 21: ტრანსევროპული ქსელები; თავი 22: რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია; თავი 23: სასამართლო სისტემა და ძირითადი უფლებები; თავი 24: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება; თავი 25: მეცნიერება და კვლევა; თავი 26: განათლება და კულტურა; თავი 27: გარემო; თავი 28: მომხმარებელთა უფლებები და ჯანმრთელობის დაცვა; თავი 29: საბაჟო კავშირი; თავი 30: საგარეო ურთიერთობები; თავი 31: საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა; თავი 32: ფინანსური კონტროლი; თავი 33: ფინანსური და საბიუჯეტო დებულებები; თავი 34: ინსტიტუტები; თავი 35: სხვა საკითხები (*European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations. Chapters of the acquis.* [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/conditions-membership/chapters-acquis_en> [წვდომის თარიღი 23.04.2024]).

43 კერძოდ, ესენია: 1. ფუნდამენტური საფუძვლები; 2. შიდა ბაზარი; 3. კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა; 4. მწვანე (გარემოსდაცვითი) დღის წესრიგი და მდგრადი კავშირები; 5. რესურსები, სოფლის მეურნეობა და გათანაბრება; 6. საგარეო ურთიერთობები. ამ მხრივ, გამონაკლისია თავი 34 „ინსტიტუტები“ და თავი 35 „სხვა საკითხები“, რომელთა განხილვა ცალკე ხდება (უფრო ვრცლად იხ. *Enhancing the accession process – A credible EU perspective for the Western Balkans*, Communication from The Commission to The European Parliament, The Council, The European Economic and Social Committee and The Committee of The Regions, Brussels, 5 February 2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enhancing-accession-process-credible-eu-perspective-western-balkans_en> [წვდომის თარიღი 23.04.2024]).

ფუნდამენტურ) *acquis*-ს, რომელიც მხოლოდ ევროკავშირის შიდა სტრუქტურას ეხება და მიზნად ისახავს მისი მექანიზმების შენარჩუნებას იმ სახით, როგორც ისინი განმტკიცებულია EU-ს ფუძემდებელ აქტებში, რათა გამოირიცხოს მათი არსებითი ცვლილება წევრი ქვეყნების შემდგომი ქმედებების/გადაწყვეტილებების შედეგად. სწორედ ამ მნიშვნელობით იქნა გამოყენებული ტერმინი „*acquis communautaire*“ მასტრიხტის ხელშეკრულების საბაზისო დებულებებში.

შეიძლება ითქვას, რომ ფუნდამენტური *acquis*: (1) ევროგაერთიანებას ახასიათებს, როგორც წევრი ქვეყნების ეროვნული მართლწესრიგისა და საერთაშორისო სამართლის სხვა ფორმებისგან განსხვავებულ სამართლებრივ წესრიგს; (2) შეიცავს ფუნდამენტურ პრინციპებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსაზღვრავენ გაერთიანების მართლწესრიგის ბუნებას, სტრუქტურასა და მეთოდს; (3) გამოირჩევა კონსტიტუციური სტატუსით, რომელიც განამტკიცებს გაერთიანების ინტეგრაციის უნიკალურ მიღწევებს; (4) არის ხელშეუხებელი და უდაო შინაგანი ბირთვი, რომლის გარეშე თვით ევროპული გაერთიანების ცნება კარგავს თავის ნამდვილად დამოუკიდებელ მნიშვნელობას; (5) ნებისმიერ ფასად უნდა იქნეს დაცული და შენარჩუნებული.⁴⁴

ნიშანდობლივია, რომ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში გადაჭრით აღნიშნავს, რომ „*acquis communautaire*-ის ნებისმიერმა ხელყოფამ ბაზრის ერთიანობის სფეროში [...] შეიძლება დეზინტეგრაციის მექანიზმების ამოქმედების რისკი გამოიწვიოს“.⁴⁵

3.2 *Acquis communautaire* გაძლიერებული თანამშრომლობის შემთხვევაში

აღბათ უპრიანია, ამავე კონტექსტში იქნეს განხილული *acquis communautaire*-ის კონცეფციის გამოყენება გაძლიერებული თანამშრომლობის მექანიზმის ფარგლებში. პირველად აღნიშნული მექანიზმი (მაშინ ჯერ კიდევ ტერმინი – „უფრო მჭიდრო თანამშრომლობა“ – გამოიყენებოდა) შემოღებულ იქნა ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებით და იგი ითვალისწინებდა კავშირის რამდენიმე (და არა ყველა) ქვეყნის მიერ ღონისძიებათა გატარებას თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, თუმცა კი ევროკავშირის ფარგლებში და მისი ინსტიტუტების გამოყენებით. ეს მექანიზმი, პირველ რიგში, განიხილებოდა როგორც ერთ-ერთი მიმზიდველი საშუალება ევროპის კავშირისთვის გარკვეული მოქნილობის მისანიჭებლად, რაც განსაკუთრებით აუცილებელი ხდება ჩიხური სიტუაციების დასაძლევად, როდესაც არ არსებობს გამოსავალი, რომელიც EU-ს ყველა წევრისთვის იქნება მისაღები. ამგვარი დიფერენცირებული ინტეგრაციის იდეას ბევრი მომხრე ჰყავდა, რომლებმაც წამოაყენეს სხვადასხვა („ორი სიჩქარის ევროპის“, „ცვალებადი გეომეტრიის ინტეგრაციის“, „კონცენტრირებული წრეების ევროპის“) კონცეფცია, რომლებიც ეფუძნებოდა, ევროკავშირის ფარგლებში ურთიერთშორის ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით, რიგი ქვეყნებისთვის უფრო შორს წასვლის შესაძლებლობის ან სულაც აუცილებლობის შეთავაზებას, – იმის დალოდების გარეშე, თუ როდის შეძლე-

44 შეადარე. Pescatore, P., 1981. Aspects judiciaires de l'acquis communautaire. *Revue Trimestrielle de Droit Europeen*, 1, გვ. 620-621.

45 Judgement of the European Court of Justice, *Commissionnaires Reunis v. Ramel*, 20/04/1978, Joined Cases 80 and 81/77. *European Court Reports* 1978 – 00927, გვ. 947.

ბენ კავშირის დანარჩენი წევრები ერთდროულად და სრულად ან ნაწილობრივ და მოგვიანებით შეერთებას.⁴⁶

ამ იდეების სასარგებლოდ მეტყველებდა ისიც, რომ დე ფაქტო ასეთი თანამშრომლობა უკვე არსებობდა, მათ შორის მასტრიხტის ხელშეკრულების ფარგლებშიც. ყველაზე ცნობილი მაგალითი იყო აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთიან ვალუტაზე გადასვლის მექანიზმი, რომელიც გულისხმობდა არა ყველა ქვეყნის, არამედ მხოლოდ მათი ნაწილის მონაწილეობას (რაც, საბოლოოდ, მოხდა კიდევ 1999 წელს, როდესაც ევროს ზონაში კავშირის 15 წევრიდან 12 მათგანი შევიდა). სხვა მაგალითებად შეიძლება დასახელდეს შენგენის მექანიზმი, რომელშიც, ასევე, EU-ს არა ყველა წევრი ქვეყანა შევიდა, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის უარი სოციალური პოლიტიკის შესახებ ოქმსა და შეთანხმებაში მონაწილეობაზე. ცხადი იყო, რომ ამგვარი მიდგომა გარკვეულ რისკებსაც შეიცავდა კავშირის შესაძლო ფრაგმენტაციის კუთხით. ამიტომაც წევრმა ქვეყნებმა უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა მრავალი სავალდებულო პირობით შემოფარგლეს. ამსტერდამის ხელშეკრულებით კვლავ შემოღებული ევროპის კავშირის შესახებ მასტრიხტის ხელშეკრულების K.15 მუხლი ამგვარი პირობების გრძელ ჩამონათვალს შეიცავდა, რომელთა შორის იყო მოთხოვნაც – „არ ხელყოს *acquis communautaire*“. მოცემულ შემთხვევაში *acquis communautaire* განიხილებოდა როგორც „ინტერესების სხვადასხვა ჯგუფებად“ ევროპის ფრაგმენტაციის ერთგვარი შემზღვეველი.

ნიცის ხელშეკრულებამ ხსენებული მექანიზმის სახელი „გადლიერებული თანამშრომლობით“ შეცვალა და, ამასთან,

ის გარემოებაც გაითვალისწინა, რომ ეს მექანიზმი არცერთხელ არავის მიერ არ გამოყენებულა; შესაბამისად, იგი გაძლიერებული თანამშრომლობის დასაწყებად აუცილებელი ზემოაღნიშნული პირობების შემსუბუქებაზე წავიდა. კერძოდ, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების 43-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, ადრე არსებული მოთხოვნა – „არ ხელყოს *acquis communautaire*“ – შეცვლილ იქნა მოთხოვნით – „პატივი სცეს *acquis communautaire*-ს“. იმისათვის, რათა მოხსნილიყო შესაძლო შიშები გაღრმავებული ინტეგრაციის იმ სახელმწიფოებისთვის თავს მოხვევასთან დაკავშირებით, რომლებიც ჯერჯერობით თავს იკავებენ გაძლიერებულ თანამშრომლობაში მონაწილეობისგან, განსაკუთრებით იქნა დათქმული და შეთანხმებული, რომ გაძლიერებული თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები არ იქნებოდა კავშირის *acquis*-ის ნაწილი. საუბარია მხოლოდ ევროკავშირის რამდენიმე (მაგრამ არა ყველა) ქვეყნის მიერ, გამონაკლისის წესით, უკიდურესი ღონისძიების სახით მიღებულ აქტებზე, როდესაც გაცხადებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია EU-ს ყველა სახელმწიფოს მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელი ხდება ის მიზეზები, რომელთა გამოც ისინი არ განეკუთვნება *acquis*-ს, როგორც ევროპის გაერთიანებისა და კავშირის მიერ დაგროვილ მონაპოვარს, რომელიც რევიზიას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

ლისაბონის ხელშეკრულების რედაქციაში გაძლიერებულ თანამშრომლობას ეძღვნება ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-20 მუხლი და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 326–334-ე მუხლები. გაძლიერებული თანამშრომლობის სამართლებრივ ჩა-

46 შეადარე. Usher, J., 1997. Variable geometry of concentric circles: Patterns for EU. *International and Comparative Law Quarterly*, 46 (2), გვ. 243.

რჩოზე საუბრისას, EU-ს ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 326-ე მუხლი ადგენს, რომ ნებისმიერი „გაძლიერებული თანამშრომლობა უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებებსა და კავშირის სამართალს“.⁴⁷ ამსტერდამისა და ნიცის ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, გამოტოვებულია ყოველგვარი მითითება გაერთიანების ან კავშირის acquis-ზე, როგორც გაძლიერებული თანამშრომლობის შესაძლო შემზღვეველზე. მხოლოდ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-20 (4) მუხლი იმეორებს ფორმულას ნიცის ხელშეკრულებიდან იმის თაობაზე, რომ გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურის ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტები არ არის acquis-ის შემადგენელი ნაწილი; ამით გამორიცხულ იქნა ყოველგვარი შიში გაძლიერებული თანამშრომლობის მექანიზმის მეშვეობით EU-ს შესაძლო ფრაგმენტაციის შესახებ. ფაქტობრივად, ლისაბონის ხელშეკრულება გამიზნულად წავიდა გაძლიერებული თანამშრომლობის დაწყებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების შერბილებაზე, – პირველ რიგში, იმიტომ, რომ ევროკავშირის ფარგლებში რამდენიმე ქვეყნის უფრო მჭიდრო ინტეგრაციის იდეა ძალზე მიმზიდველია. შეიძლება უბრალოდ დამთხვევა იყოს, მაგრამ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე გამოქვეყნდა ცნობა, რომ EU-ს 10 ქვეყანას სურდა, სწორედ გაძლიერებული თანამშრომლობის ფარგლებში მიეღო რეგლამენტი განქორწინებების თაობაზე, რომელიც ტრანსსასაზღვრო განქორწინებებისას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ მთელი კავშირისთვის

ერთიან ფორმულას გაითვალისწინებდა. ამ რეგლამენტის მიღება ევროკავშირის დონეზე შვედეთის მიერ იქნა დაბლოკილი. ამის შემდეგ 10-მა ქვეყანამ განაცხადა, რომ აღნიშნული რეგლამენტის მიღება გაძლიერებული თანამშრომლობის მექანიზმის მეშვეობით სურდათ, რის გამოც, ნებართვის მისაღებად EU-ს საბჭოსა და ევროპარლამენტს მიმართეს, როგორც ამას ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება ითხოვს.⁴⁸ საბოლოო ჯამში, ევროკავშირის საბჭოს მიერ 2010 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა რეგლამენტი, რომელიც ადგენს გაძლიერებულ თანამშრომლობას განქორწინებისა და მეუღლეთა სასამართლო წესით გაყრისას გამოსაყენებელი სამართლის სფეროში.⁴⁹ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა EU-ს არსებობის ისტორიაში გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურა იქნა განხორციელებული.

4. ACQUIS COMMUNAUTAIRE მესამე სახელმწიფოებთან ევროპის კავშირის ურთიერთობებში

ევროკავშირის ტრანსფორმაციული მისწრაფებები, რომლებიც მიმართულია EU-ს არაწევრ სახელმწიფოებზე და გამოხატულია ორმხრივ, ასევე რეგიონულ სტრუქტურებთან შეთანხმებებში, მოიცავს ამ (მესამე) ქვეყნებთან ოფიციალური ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებას, აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს რეგულირების განვითარებისთვის თვა-

47 Official Journal of the European Union, C 83, 30 March 2010, გვ. 189.

48 შეადარე. European Commission. Press Release, IP/10/347. European Commission goes ahead with 10 countries to bring legal certainty to children and parents in cross-border marriages. Brussels, 24 June 2010.

49 Council Regulation (EU) N1259/2010 of 20 December 2010 implementing enhanced cooperation in the area of the law applicable to divorce and legal separation. Official Journal of the European Union, L 343, 29.12.2010, გვ. 10–16.

ლყურის მიღვენებას, ამ სახელმწიფოებზე ეკონომიკის, პოლიტიკისა და სოციალური ურთიერთობების საკითხებში EU-ს გავლენის დასადგენად. მაგალითად შეიძლება დასახელდეს მრავალრიცხოვანი მოლაპარაკებები მესამე ქვეყნებთან ევროპის კავშირის შეთანხმებების, მათ შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის, ასევე სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებების შემუშავების თაობაზე;⁵⁰ შეთანხმებები, რომლებიც კანდიდატი ქვეყნების მიერ EU-ში მოქმედი მოდელის ეტაპობრივ მიღებას ითვალისწინებენ.

თუმცა *acquis communautaire*-ის განსახილველი ნაირსახეობა სცილდება იმ პროცედურების ფარგლებს, რომლებიც ევროკავშირის შემადგენლობაში ახალი ქვეყნების მიღებას უსწრებს წინ. არცთუ იშვიათად კავშირი დაინტერესებულია მის ფარგლებში შემუშავებული მოდელების (განვითარებული დემოკრატია, დია ბაზარი, მმართველობის სტრუქტურები და უსაფრთხოების მექანიზმები) სულ უფრო ფართო „ექსპანსიით“ იმ სახელმწიფოებში, რომლებიც უახლოეს მომავალში არ აპირებენ კავშირის შემადგენლობის შევსებას.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს ევროკავშირის ურთიერთობათა მაგალითები კვიპროსთან, მალტასთან (მათ მიერ EU-ს წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებამდე), აფრიკის სახელმწიფოებთან, კარიბის აუზის ქვეყნებთან, თურქეთთან, ასევე სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ამ ტიპის *acquis communautaire* აქტიურად გამოიყენება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში, რადგან იგი ისეთ საკითხთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც სრულად და განხილვის გარეშე უნდა იქნას მიღებული და გაზიარებული მესამე სახელმწიფოების მიერ, თუკი მათ ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევა სურთ.

Acquis communautaire-ის ასეთი საგარეო მიმართულების საფუძველი და მიზეზები შეიძლება შემდეგი ფაქტორებით აიხსნას: პირველი, ესაა ევროკავშირის სურვილი, გაატაროს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები და ხელი შეუწყოს მათ მიღწევას ევროპის კავშირში მიღებული წესრიგის ზომიერი „თავსმოხვევის“ მეშვეობით; მეორე კი, EU-ს ფარგ-

50 ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ EU-სა და მესამე ქვეყნებს შორის ასოცირებისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმებათა უმეტესობა შეიცავს ე.წ. „დებულებებს კანონმდებლობის დაახლოების შესახებ“, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებს მესამე ქვეყნების კანონმდებლობის დაახლოებას *acquis communautaire*-სთან. მაგალითად, ევროკავშირსა და ბალკანეთის ქვეყნებს შორის გაფორმებულ სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებებში (ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მსგავსი შეთანხმება დაიდო 2008 წლის 16 ივნისს, ხორვატიასთან – 2001 წლის 29 ოქტომბერს (გაუქმდა, როდესაც ეს უკანასკნელი 2013 წელს EU-ს წევრი გახდა), ჩრდილოეთ მაკედონიასთან – 2004 წლის 9 აპრილს, ალბანეთთან – 2006 წლის 12 ივნისს)) „დებულებები კანონმდებლობის დაახლოების შესახებ“ ითვალისწინებს კანონმდებლობის დაახლოების ორეტაპიან პროცესს. ამ პროცესის პირველი ეტაპი მიზნად ისახავს ბალკანეთის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას EU-ს „შიდა ბაზრისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში *acquis*-ის გარკვეულ ფუნდამენტურ ელემენტებთან“ (იხ. სტაბილიზაციისა და ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროპის კავშირსა და ჩრდილოეთ მაკედონიას შორის, მუხ. 68). მოცემულ შემთხვევაში *acquis*-ის წარმატებული „ნებაყოფლობითი“ განხორციელება არის ბალკანეთის ქვეყნებიდან ევროკავშირში საქონლისა და სერვისების ხელმისაწვდომობის ლიბერალიზაციის საკვანძო წინაპირობა (შეადარე. Cremona, M., 1998. The European Union as an international actor: The issues of flexibility and linkage. *European Foreign Affairs Review*, 3, გვ. 86).

ლებში შექმნილი და მოქმედი სქემების გავრცელება მესამე ქვეყნებზე, კავშირის შიგნით მათი წარმატებული ფუნქციონირების წყალობით, როგორც ერთგვარი სტანდარტისა, რომლის დაცვაც აუცილებელია, როგორც მისაბაძი ეფექტიანი მაგალითისა.

მსგავსი მიდგომის ყველაზე ცნობილი მაგალითია 1992 წელს პორტოში ევროპის ეკონომიკური სივრცის (შემდგომში – „EEP“) შექმნის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც დაიღო, ერთი მხრივ, ევროპის გაერთიანებასა და მის 12 წევრ ქვეყანას და, მეორე მხრივ, ავსტრიას, ფინეთს, ისლანდიას, ლიხტენშტეინს, ნორვეგიას, შვედეთსა და შვეიცარიას – იმ მომენტისთვის ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (შემდგომში – „EFTA“) წევრებს – შორის.

ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის მიზნით, EFTA-ს წევრი ქვეყნები დათანხმდნენ, თავიანთი კანონმდებლობა, ყოველგვარი დათქმისა თუ პირობების გარეშე, შესაბამისობაში მოეყვანათ გაერთიანების ნორმებსა და წესებთან. ამიტომაც, რომ EEP-ის შესახებ შეთანხმების ბევრი დებულება იმეორებს ევროპის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების პირობებს საქონლის, მუშახელის, კაპიტალის და მომსახურების გადაადგილების თავისუფლებისა და კონკურენციის რეგულირებასთან დაკავშირებით.⁵¹ EU-ს „მეორად“ სამართალთან მიმართებით ისინი შეიცავენ მითითებებს მრავალრიცხოვან ოქმებსა და შეთანხმების დანართებზე; – საუბარია გაერთიანების დაახლოებით 1500 ნორმატიულ აქტზე (არა

მარტო ერთიანი ბაზრის, არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ასევე სოციალური პოლიტიკის გარემოსდაცვითი მიმართულების სფეროში), რომლებზეც უნდა იყვნენ ორიენტირებული EFTA-ს წევრი ქვეყნები და სათანადო ცვლილებები შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში. შეთანხმება უფრო შორს წავიდა და დაადგინა, რომ მისი ნორმები, თუ ისინი არსებითად ევროპის გაერთიანების შესაბამისი წესების იდენტურია, განმარტებულ უნდა იქნეს ამ წესებთან დაკავშირებულ დავებზე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ EEP-ის შესახებ შეთანხმების დადებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ანალოგიურად.⁵² ფაქტობრივად, „EEP-ის შექმნის შესახებ უკიდურესად რთულმა შეთანხმებამ, არსებითად, დააფიქსირა EFTA-ს წევრი ქვეყნების აბსორბცია გაერთიანების შიდა ბაზარში [...] და დაახლოვა ის, რომ EFTA-ს წევრი ქვეყნები გაერთიანების წევრებად ექცია ხმის უფლების გარეშე“.⁵³ ისევე, როგორც EU-ს გაფართოების შემთხვევაში, კავშირის საკვანძო ნორმებისა და წესების, ასევე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის ფაქტობრივი გადმოღება უნდა იყოს სრული და უპირობო. „მაშინაც კი, როცა გამოთქმა „*acquis communautaire*“ შეთანხმების არცერთ დებულებაში არ გვხვდება, EFTA-ს წევრი ქვეყნების მიერ ამ *acquis*-ის მიღების იდეა შექმნილი მატერიალური და ინსტიტუციური სისტემის გულია“.⁵⁴ ამასთან, თავად ტერმინს მაინც შეიძლება წავაწყდეთ მუალედურ შეთანხმებებში, რომლებიც, და-

51 შეადარე. Gialdino, C., 1995. Some Reflection on the *acquis communautaire*. *Common Market Law Review*, 32, გვ. 1103.

52 შეადარე. Goebel, R.J., 1995. The European Union grows: The constitutional impact of the accession of Austria, Finland and Sweden. *Fordham International Law Journal*, #18, გვ. 1107.

53 იქვე. გვ. 1107.

54 Delcourt, C., 2001. The *acquis communautaire*: has the concept had its day? *Common Market Law Review*, #38, გვ. 849.

ლაში შესვლის მომზადების მიზნით, დადებულია წერილების გაცვლის ფორმით, სადაც საუბარია „გაერთიანების *acquis*-ის შესწავლაზე EEP-ის შესახებ შეთანხმების კონტექსტში“.⁵⁵

Acquis-ის კონცეფციის საგარეოპოლიტიკური გამოყენების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ხელშეკრულება ენერგეტიკული თანამეგობრობის (შემდეგში – „EC“) შექმნის შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა ათენში 2005 წლის 25 ოქტომბერს, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და, მეორე მხრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს (ალბანეთი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი) შორის. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში პირდაპირაა გაცხადებული, რომ ენერგეტიკული თანამეგობრობის საქმიანობა მოიცავს „ხელშეკრული მხარეების მიერ *acquis communautaire*-ის დანერგვას ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, კონკურენციისა და განახლებადი ენერჯის წყაროების სფეროებში“.⁵⁶ ხელშეკრულების მე-2 კარი კი ზუსტად განსაზღვრავს კავშირის რომელი სამართლებრივი აქტების იმპლემენტაციას მოახდენენ მხარეები, დასახული მიზნების მისაღწევად და ჩამოთვლილია EU-ს კონკრეტული რეგლამენტები და დირექტივები, რომლებიც მიეკუთვნება *acquis*-ს ენერგეტიკის სფეროში და ხელშეკრულებაში ნახსენებ *acquis*-ის სხვა სახეებს: *acquis*-ს გარემოსდაცვით სფეროში, *acquis*-ს კონკურენციის საკითხებთან მიმართებით, *acquis*-ს განახლებადი ენერჯის წყაროებთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ კონკურენციის სფეროში *acquis*-ის ქვეშ გაგებულია არა მარტო ევროპის გაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულების შესა-

ბამისი დებულებები (მუხ. 81-82 და 87), არამედ მათი გამოყენების პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმებიც (იხ. ხელშეკრულება EC-ის შექმნის შესახებ, მუხ. 18, პუნქტი 2). EC-ის შექმნის შესახებ ხელშეკრულების 94-ე მუხლი ცალსახად ადგენს, რომ ენერგეტიკული თანამეგობრობის ინსტიტუტები ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ნებისმიერ ტერმინს ან კონცეფციას, რომელიც ევროპის გაერთიანების სამართლიდან გამომდინარეობს, განმარტავენ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. თუ ასეთი სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, მაშინ გაერთიანების მინისტრთა საბჭომ უნდა გასცეს შესაბამისი მითითებები ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ „არ შეიძლება წინასწარ გადაწყვიტონ *acquis communautaire*-ის ნებისმიერი ინტერპრეტაცია, რომელიც შემდგომში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთდება“.

დაბოლოს, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკისა და, ზოგადად, „EU-სთვის *acquis communautaire* დიდი უპირატესობაა, როგორც ინსტრუმენტი, რომლის მასშტაბი, ტრაექტორია და ინტერპრეტაცია მთლიანად და ექსკლუზიურად ევროკავშირის ხელში რჩება“.⁵⁷

55 შეადარე. Official Journal of the European Communities, L 1/546–547, 3 January 1994.

56 შეადარე. Official Journal of the European Union, L 198/18, 20 July 2006.

57 Magen, A., 2007. Transformative Engagement through Law: The *Acquis Communautaire* as an Instrument of EU External Influence. *European Journal of Law Reform*, 9, გვ. 387.

5. ტერმინის „AQUIS“ გამოყენება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ

ბოლო პერიოდში შეინიშნება ტერმინის „acquis“ გამოყენების საინტერესო ტენდენცია, რაც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ ევროკავშირთან) ოფიციალურ დოკუმენტებში მის გამოყენებაში გამოიხატება. მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (შემდეგში – „OECD“) თავის „სტრატეგიაში გაფართოებისა და მზარდი დაფარვის შესახებ“ აქტიურად იყენებს ტერმინს „OECD acquis“, აღნიშნულ ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების პირობებთან მიმართებით; ამასთან, ხსენებული ტერმინის ქვეშ მოიაზრება კანდიდატი სახელმწიფოების მზადყოფნა, მიიღონ ამ ორგანიზაციის შიდა აქტების მთელი კომპლექსი.⁵⁸

ოღნავ განსხვავებული აქცენტი აქვს მინიჭებული ტერმინს „acquis“ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (შემდეგში – „WTO“) სააპელაციო ორგანოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც „GATT-WTO acquis“ განიხილება როგორც ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმებისა (შემდეგში – „GATT“) და WTO-ს სამართლის სფეროში დაგროვებული ნორმების ერთობლიობა, ასევე „GATT-WTO-ს სისტემის ფარგლებში არსებული სამართლებრივი ისტორია და გამოცდი-

ლება“, სახელმწიფოებს შორის სავაჭრო დავებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ჩათვლით.⁵⁹

აღნიშნულ ტერმინს იყენებს ასევე ევროპის საბჭოც (საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც არაა დაკავშირებული ევროკავშირთან) და ეს ტერმინი ამ შემთხვევაში გამოყენებულია უშუალოდ ევროპის საბჭოს მიღწევების აღსაწერად: „ევროპის საბჭოს *acquis* დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროებში სტანდარტების დადგენის საქმიანობაში განხილულ უნდა იქნეს როგორც მნიშვნელოვანი ეტაპები ევროპული პოლიტიკური პროექტის რეალიზაციის გზაზე, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი აღიარებულ უნდა იქნეს ნებისმიერი მომავალი არქიტექტურის საკვანძო სასამართლო ელემენტად“.⁶⁰

ფაქტობრივად, მომსწრენი ვართ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონკრეტული ტერმინის „სესხებისა“, რომელიც EU-ს წიაღში იშვა და დიდი ხნის განმავლობაში ექსკლუზიურად სწორედ მასთან ასოცირდებოდა. შესაბამისად, „acquis“ საზოგადო ტერმინად იმკვიდრებს თავს საერთაშორისო სამართალსა და პრაქტიკაში და, როგორც წესი, გულისხმობს, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ან სახელმწიფოთა მიერ ერთობლივად წარმოებული პოლიტიკის ფარგლებში დაგროვილი ნორმების, პოლიტიკური პრინციპებისა და სასამართლო გადაწყვე-

58 შეადარე. The Organization for Economic Co-operation and Development (OECD) (2004). A Strategy for Enlargement and Outreach. Report by the Chair of the Heads of Delegation Working Group on the Enlargement Strategy and Outreach, Ambassador Seiichiro Noboru. OECD, 13 May 2004.

59 შეადარე. The World Trade Organization (WTO) Appellate Body Report, Japan – Taxes on Alcoholic Beverages (“Japan – Alcoholic Beverages II”), WT/DS8/AB/R, WT/DS10/AB/R, WT/DS11/AB/R, adopted 1 November 1996, Dispute Settlement Reports 1996:I, 97.

60 Section 12, Parliamentary Assembly of the Council of Europe Resolution 1290 (2002) – Future co-operation between European institutions. Text adopted by the Parliamentary Assembly on 26 June 2002 (21st Sitting).

ტილებების ერთობლიობას, რომლის შენარჩუნება-განვითარება საჭიროა ამ ორგანიზაციის ან ამ პოლიტიკის მიზნების მიღწევის ინტერესებისთვის.

დასკვნა

Acquis communautaire-ის კონცეფცია EU-ს მომავალთან, მის გაფართოებასა და გაღრმავებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების განუყოფელ ნაწილად იქცა. იგი კავშირის პოლიტიკური და სამართლებრივი წესრიგის არსსა და უნიკალურ მიღწევებს აღნიშნავს და წარმოადგენს სხვადასხვა პრინციპების, წესებისა და ნორმების, მათ შორის „არანორმატიული“ წყაროების ერთობლიობას, რომლებიც დაგროვილია ევროკავშირში და ექვემდებარება სავალდებულო შენარჩუნებას მისი საქმიანობისა და შემდგომი განვითარების პროცესში. Acquis-ის კონცეფცია აქტიურად და ეფექტიანად გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

1) მოლაპარაკებებისა და ევროპის გაერთიანებების (კავშირის) გაფართოების პროცესისას, რაც დაწყებულ იქნა 1972 წელს დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და დანიის ევროგაერთიანებაში გაწევრებით, როდესაც პირველად იქნა აღიარებული acquis communautaire-ის როლი, ხოლო მისი აქტუალურობა განსაკუთრებით ევროპის კავშირის 27 წევრამდე მკვეთრი გაფართოების შემდეგ გაიზარდა;

2) ევროკავშირში მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებებისას (ასეთი იყო, მაგალითად, მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებით დაწყებული ევროპული გაერთიანებების ტრანსფორმაცია ევროპის კავშირად). სწორედ ამას უკავშირდება acquis communautaire-ის გაჩენა მაასტრიხტის ხელშეკრულების რამდენიმე ფუნდამენტურ მუხლში, სადაც acquis-ის ერთ-ერთი ძირითადი ამო-

ცანა ევროპის გაერთიანებიდან ევროპის კავშირზე მწყობრი გადასვლის უზრუნველყოფა იყო, ინტეგრაციის მიღწეული ღონის შენარჩუნებით;

3) EU-ს წევრი ქვეყნების ჯგუფის მიერ გაძლიერებული თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენებისას, როცა ისინი ატარებენ ღონისძიებებს, რომლებსაც ევროკავშირის დანარჩენი წევრები არ ეთანხმებიან ან არ არიან მზად მათ მისაღებად. ამ შემთხვევაში acquis გამოიყენება კავშირის უფრო განვითარებულ და ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებად ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად;

4) მესამე სახელმწიფოებთან ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისას, როდესაც კავშირის ამა თუ იმ acquis-ის სავალდებულო და სრული იმპლემენტაცია EU-ს პარტნიორი ქვეყნების მიერ ამ სახელმწიფოებთან ევროკავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთ მთავარ პირობად ცხადდება. Acquis-ის კონცეფციის ამგვარი გამოყენების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია შეთანხმება ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ და ხელშეკრულება ენერგეტიკული თანამეგობრობის შექმნის შესახებ.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ acquis communautaire-ის ცნება ორი განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება და ორ განსხვავებულ მიზანს ემსახურება: პირველი მიმართულია EU-ს „შიდა წესრიგისადმი“, რომელიც ევროპის გაერთიანებებისგან მემკვიდრეობით მიღებულ მონაპოვარს წარმოადგენს და მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ევროინტეგრაციის შიდა გენეტიკური კოდის შენარჩუნებას; მეორე კი უკავშირდება მესამე ქვეყნებთან „ტრანსფორმაციული ურთიერთქმედების“ კონცეფციას, რომლის მიზანია EU-ს საგარეო ნორმების შემუშავება და მისი ინტერესების ხელშეწყობა საზღვარგარეთ.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე, ლ., 2010. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი: საგამომცემლო სახლი ინოვაცია.
2. გაბრიჩიძე, გ., 2023. ევროპის კავშირის სამართალი. მეორე გამოცემა. თბილისი: ნიუ ვიკენ უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. მირიანაშვილი, გ., 2022. ევროპის კავშირის სამართალი. პირველი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი.
4. ოპერმანი, თ., კლასენი, კ. დ. და ნუთესჰაიმი, მ., 2020. ევროპული სამართალი: სასწავლო სახელმძღვანელო. მე-8, განახლებული გამოცემა, 2018, თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).
5. ჰაჰვა, ი., 2017. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები. თბილისი.
6. Cagiano de Azevedo, R., Paparusso, A. and Vaccaro, M., 2013. Sovereignty and *acquis communautaire*: the new borders of the European Union. *L'Europe en Formation*, 2 (368), გვ. 189-195.
7. Fjølstul, J. C., 2019. The evolution of European Union law: A new data set on the *Acquis Communautaire*, *European Union Politics*, 20 (4), გვ. 670-691.
8. Grabbe, H., 2002. European Union Conditionality and the “*Acquis Communautaire*”. *International Political Science Review*, 23 (3), გვ. 249-268.
9. Miller, V., 2011. The EU's *Acquis Communautaire*. House of Commons Library Standard Note SN/IA/5944. 26 April 2011. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/SN05944/SN05944.pdf>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].
10. Stephen, J. S. and Sampson, A. B., 2003. *Acquis Communautaire and European Exceptionalism: A Genealogy*. ACES Working Paper 2003. 1 July 2003. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://aei.pitt.edu/8961/1/2003.1.pdf>> [წვდომის თარიღი 23.04.2024].
11. Барциц, В. И., 2019. Право Европейского союза и “*acquis communautaire*”. Государственная служба, 2, გვ. 81–86.
12. Петров Р. А., 2011. Транспозиция “*acquis*” Европейского Союза в правовые системы третьих стран: Монография. Киев: Издательство “Истина”.
13. Исполинов, А.С., 2010. Концепция *acquis communautaire* в праве Европейского Союза. Вестник Московского университета, Серия 11: Право, 5, гв. 68-88.
14. Кашкин, С. Ю., “Ред.,” 2016. Право Европейского Союза: В 2 томах. Т. 1: Общая часть: Учебник для бакалавриата и магистратуры. М.: Юрайт .
15. Хартли, Т. К., 1998. Основы права Европейского Сообщества. Введение в конституционное и административное право Европейского Сообщества (перевод с англ. и научная редакция В. Г. Бенды). М.: ЮНИТИ, Закон и право, Будапешт.

ნორმატიული მასალა:

1. Projet de traite instituant l'Union Europeenne. Bulletin des Communautés européennes #2, Février 1984, გვ. 8-26.
2. Final Communique of the Conference of Heads of Government or State on 1–2 December 1969 at the Hague. Third General Report on the activities of the Community. European Yearbook, Volume 17. The Hague, 1969.
3. Commission of the European Communities, Fifth General Report on the activities of the Community. 1971. European Yearbook, Volume 19. The Hague, 1971, გვ. 355–508.
4. Single European Act, signed at Luxembourg on 17 February 1986. Official Journal of the European Communities, L 169, 29 June 1987.
5. Treaty on European Union, signed at Maastricht on 7 February 1992. Official Journal of the European Communities, C. 191, 29 July 1992.
6. Treaty of Amsterdam amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts. Official Journal of the European Communities, C 340, 10 November 1997.
7. Annex to the Protocol integrating the Schengen *acquis* into the framework of the European

- Union. Official Journal of the European Communities, C 340/93, 10 November 1997.
8. Treaty of Nice amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts, signed at Nice, 26 February 2001. Official Journal of the European Communities, 2001/C 80/01, 10 March 2001.
 9. Treaty establishing a Constitution for Europe. Official Journal of the European Union, C 310, 16 December 2004.
 10. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007. Official Journal of the European Union, C 306, 17 December 2007.
 11. Eur-Lex – the official website of European Union law. Glossary of summaries: Acquis. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/acquis.html>> [წვდომის თარიღი 23.04.2024]
 12. Towards the Enlarged Union – Strategy Paper and Report of the European Commission on the progress towards accession by each of the candidate countries. Brussels, 9.10.2002 (COM (2002) 700 final).
 13. Enlargement strategy and main challenges 2008-2009. Communication from the Commission to the Council and the European Parliament. COM (2008) 674 final, 5 November 2008.
 14. Agenda 2000 – For a stronger and wider Union. Document drawn up on the basis of COM (97) 2000 final, 13 July 1997. Bulletin of the European Union, Supplement 5/97 [European Commission – COM Document].
 15. Act concerning the conditions of accession of the Kingdom of Norway, the Republic of Austria, the Republic of Finland and the Kingdom of Sweden and the adjustments to the Treaties on which the European Union is founded. Official Journal of the European Communities, C 241, 29 August 1994.
 16. European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations. Chapters of the acquis. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/conditions-membership/chapters-acquis_en> [წვდომის თარიღი 23.04.2024]
 17. Council Regulation (EU) N1259/2010 of 20 December 2010 implementing enhanced co-operation in the area of the law applicable to divorce and legal separation. Official Journal of the European Union, L 343, 29.12.2010, გვ. 10–16.
 18. The Energy Community Treaty, signed at Athens, 25 October 2005. Official Journal of the European Union, L 198/18, 20 July 2006.
 19. The Organization for Economic Co-operation and Development (OECD) (2004). A Strategy for Enlargement and Outreach. Report by the Chair of the Heads of Delegation Working Group on the Enlargement Strategy and Outreach, Ambassador Seiichiro Noboru. OECD, 13 May 2004.
 20. Section 12, Parliamentary Assembly of the Council of Europe Resolution 1290 (2002) – Future co-operation between European institutions. Text adopted by the Parliamentary Assembly on 26 June 2002 (21st Sitting).

სასამართლო პრაქტიკა:

1. Judgement of the European Court of Justice, *Commissionaires Reunis v. Ramel*, 20/04/1978, Joined Cases 80 and 81/77. European Court Reports 1978 – 00927.
2. Judgement of the European Court of Justice, *Hurd v. Jones*, 15/01/1986, *Case 44/84*.
3. The World Trade Organization (WTO) Appellate Body Report, *Japan – Taxes on Alcoholic Beverages (“Japan – Alcoholic Beverages II”)*, WT/DS8/AB/R, WT/DS10/AB/R, WT/DS11/AB/R, adopted 1 November 1996, Dispute Settlement Reports 1996:I, 97.

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Aleksidze, L., 2010. Modern International Law. Tbilisi: Publishing House Innovation". (in Georgian)
2. Gabrichidze, G., 2012. European Union Law. Second edition. Tbilisi: New Vision University Publishing House. (in Georgian)
3. Mirianashvili, G., 2022. European Union Law. First Part. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
4. Oppermann, Th., Classen, C. D. and Nettessheim, M., 2020. European Law: A Textbook. 8th, updated edition, 2018, Tbilisi. (in Georgian)
5. Papava, I., 2017. Legal Basis of the Functioning of the European Union: Fundamental Acts and Comments. Tbilisi. (in Georgian)
6. Cagiano de Azevedo, R., Paparusso, A., Vaccaro, M., 2013. Sovereignty and *acquis communautaire*: the new borders of the European Union. *L'Europe en Formation*, 2 (368), pp. 189-195. (in English)
7. Fjelstul, J. C., 2019. The evolution of European Union law: A new data set on the *Acquis Communautaire*, *European Union Politics*, 20 (4), pp. 670-691. (in English)
8. Grabbe, H., 2002. European Union Conditionality and the "*Acquis Communautaire*". *International Political Science Review*, 23 (3), pp. 249-268. (in English)
9. Miller, V., 2011. The EU's *Acquis Communautaire*. House of Commons Library Standard Note SN/IA/5944. 26 April 2011. [Online] available at: <https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/SN05944/SN05944.pdf> [Accessed 23.04.2024]. (in English)
10. Stephen, J. S. and Sampson, A. B., 2003. *Acquis Communautaire* and European Exceptionalism: A Genealogy. ACES Working Paper 2003. 1 July 2003. [Online] available at: <https://aei.pitt.edu/8961/1/2003.1.pdf> [Accessed 23.04.2024]. (in English)
11. Bartsits, V.I., 2019. European Union law and "*acquis communautaire*". *Gosudarstvennaya sluzhba*, 2, pp. 81-86. (in Russian)
12. Ispolinov, A.S., 2010. Concept of the *acquis communautaire* in law of the European Union. Moscow: University Bulletin. Series 11: Law, 5, pp. 68-88. (in Russian)
13. Kashkin, S. Y., "Ed.", 2016. Law of the European Union: In 2 volumes. Volume 1: General part: Textbook for Undergraduate and Graduate Courses. Moscow: Yurayt Publishing House. (in Russian)
14. Petrov, R.A., 2011. Transposition "*Acquis*" of the European Union into the Legal Systems of Third Countries. Kiev: Publishing house Istina. (in Russian)
15. Hartley, T. K., 1998. The Foundations of European Community Law: An Introduction to the Constitutional and Administrative Law of the European Community. Moscow-Budapest. (in Russian)

Normative Materials:

1. Draft treaty establishing the European Union. Bulletin of the European Communities N2, February 1984, pp. 8-26. (in French)
2. Final Communique of the Conference of Heads of Government or State on 1-2 December 1969 at the Hague. Third General Report on the activities of the Community. *European Yearbook*, Volume 17. The Hague, 1969. (in English)
3. Commission of the European Communities, Fifth General Report on the activities of the Community. 1971. *European Yearbook*, Volume 19. The Hague, 1971. pp. 355-508. (in English)
4. Single European Act, signed at Luxembourg on 17 February 1986. *Official Journal of the European Communities*, L 169, 29 June 1987. (in English)
5. Treaty on European Union, signed at Maastricht on 7 February 1992. *Official Journal of the European Communities*, C. 191, 29 July 1992. (in English)
6. Treaty of Amsterdam amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts. *Official Journal of the European Communities*, C 340, 10 November 1997. (in English)
7. Annex to the Protocol integrating the Schengen *acquis* into the framework of the European Union. *Official Journal of the European Communities*, C 340/93, 10 November 1997. (in English)

8. Treaty of Nice amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts, signed at Nice, 26 February 2001. Official Journal of the European Communities, 2001/C 80/01, 10 March 2001. (in English)
9. Treaty establishing a Constitution for Europe. Official Journal of the European Union, C 310, 16 December 2004. (in English)
10. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007. Official Journal of the European Union, C 306, 17 December 2007. (in English)
11. Eur-Lex – the official website of European Union law. Glossary of summaries: Acquis. [Online] available at: <<https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/acquis.html>> [Accessed 23.04.2024]. (in English)
12. Towards the Enlarged Union – Strategy Paper and Report of the European Commission on the progress towards accession by each of the candidate countries. Brussels, 9.10.2002 (COM (2002) 700 final) (in English)
13. Enlargement strategy and main challenges 2008-2009. Communication from the Commission to the Council and the European Parliament. COM (2008) 674 final, 5 November 2008. (in English)
14. Agenda 2000 – For a stronger and wider Union. Document drawn up on the basis of COM (97) 2000 final, 13 July 1997. Bulletin of the European Union, Supplement 5/97 [European Commission – COM Document]. (in English)
15. Act concerning the conditions of accession of the Kingdom of Norway, the Republic of Austria, the Republic of Finland and the Kingdom of Sweden and the adjustments to the Treaties on which the European Union is founded. Official Journal of the European Communities, C 241, 29 August 1994. (in English)
16. European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations. Chapters of the acquis. [Online] available at: <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/conditions-membership/chapters-acquis_en> [Accessed 23.04.2024]. (in English)
17. Council Regulation (EU) N1259/2010 of 20 December 2010 implementing enhanced co-operation in the area of the law applicable to divorce and legal separation. Official Journal of the European Union, L 343, 29.12.2010, pp. 10–16. (in English)
18. The Energy Community Treaty, signed at Athens, 25 October 2005. Official Journal of the European Union, L 198/18, 20 July 2006. (in English)
19. The Organization for Economic Co-operation and Development (OECD) (2004). A Strategy for Enlargement and Outreach. Report by the Chair of the Heads of Delegation Working Group on the Enlargement Strategy and Outreach, Ambassador Seiichiro Noboru. OECD, 13 May 2004. (in English)
20. Section 12, Parliamentary Assembly of the Council of Europe Resolution 1290 (2002) – Future co-operation between European institutions. Text adopted by the Parliamentary Assembly on 26 June 2002 (21st Sitting). (in English)

Judicial Practice:

1. Judgement of the European Court of Justice, *Commissionnaires Reunis v. Ramel*, 20/04/1978, Joined Cases 80 and 81/77. European Court Reports 1978 – 00927. (in English)
2. Judgement of the European Court of Justice, *Hurd v. Jones*, 15/01/1986, *Case 44/84*. (in English)
3. The World Trade Organization (WTO) Appellate Body Report, *Japan – Taxes on Alcoholic Beverages (“Japan – Alcoholic Beverages II”)*, WT/DS8/AB/R, WT/DS10/AB/R, WT/DS11/AB/R, adopted 1 November 1996, Dispute Settlement Reports 1996:I, 97. (in English)